ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 488

"24" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №99-ის მიმდებარედ №01.12.12.003.141; №01.12.12.003.142 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, ხათუნა გამცემლიძისთვის (პ/ნ. 01017007820) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა „ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №99-ის მიმდებარედ №01.12.12.003.141; №01.12.12.003.142 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, ხათუნა გამცემლიძესთვის (პ/ნ. 01017007820) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 01.10.2025წ №25.1642.1858 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №99-ის მიმდებარედ არსებული 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.141), კიბის განთავსების მიზნით და ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №99-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.142), კიბისა და პანდუსის მოწყობის მიზნით პირდაპირი განკარგვის წესით ხათუნა გამცემლიძისთვის (პ/ნ. 01017007820)) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 032 (ოთხი ათას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე